პრეზიდენტ
დიტერ ფ. უხთდორფის
მიერ
პირველ პრეზიდენტთა
მეორე მრჩეველი



შეგვიძლია ვიხილოთ ქრისტე?

ერთ საღამოს, როდესაც პაპა უკითხავდა თავის–ოთხი წლის შვილიშვილს მოთხრობას, ბავშმა აიხედა ზემოთ და სთქვა: „პაპა, შეხედე ვარსკვლავებს!” მოხუცმა კეთილად გაუღიმა და უპასუხა: „ჩვენ სახლში ვართ, ჩემო ტკბილო. აქ ვარსკვლავები არ არის.” მაგრამ ბავშვი ამტკიცებდა: „შენს ოთახში ვარსკვლავებია! შეხედე!”

პაპამ აიხედა და გაოცდა, ჭერი ლითონის ბრჭყვიალებით იყო მოფენილი. დროის უმეტეს ნაწილად ეს შეუმჩნეველი იყო, მაგრამ როდესაც ბრჭყვიალებზე შუქი გარკვეული კუთხით ვარდებოდა, ჭერი მართლაც ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ჰგავდა. ამის დასანახად ბავშვის თვალები იყო საჭირო. ამ დღიდან დაწყებული, როდესაც პაპა ოთახში შედიოდა, ყოველთვის ზემოთ იცქირებოდა და ხედავდა იმას, რასაც აქამდე ვერც კი ამჩნევდა.

კარს მოგვადგა მუსიკითა და სინათლით გასხვოსნებული, წვეულებებითა და საჩუქრებით აღვსილი ქრისტეშობის ხანა. მაგრამ ყველასგან განსხვავებით, ჩვენ, მაცხოვრის სახელის მატარებელი ეკლესიის წევრები, უფრო ღრმად უნდა ჩავიხედოთ შობის შინაარსში და დავინახოთ წელიწადის ამ ხანაში უდიადესი ჭეშმარიტება და სილამაზე.

საინტერესოა, რამდენმა ადამიანმა იცოდა ის რომ იქ, ბეთლემში, მათთან ასე ახლოს, დაიბადა მაცხოვარი? დიდი ხნის ნანატრი და დაპირებული მესია, ძე ღვთისა, — მათ შორის იმყოფებოდა!

გახსოვთ რა უთხრა ანგელოზმა მწყემსებს? „დღეს დავითის ქალაქში თქვენთვის იშვა მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი.” და მწყემსებმა უთხრეს ერთმანეთს: „წავიდეთ ბეთლემს და ვნახოთ მომხდარი ამბავი” (ლუკა 2:11, 15).

ჩვენც, როგორც ამ მწყემსებმა, უნდა ვთქვათ საკუთარ გულში: „მოდით ვნახოთ მომხდარი ამბავი. ჩვენ ეს სურვილი გულში უნდა ვიქონიოთ. მოდით ვიხილოთ ისრაელის სიწმინდე ბაგაში, ტაძარში, მთაზე და ბოლოს ჯვარცმული. ისე, როგორც მწყემსებმა, ვაქოთ და ვადიდოთ ღმერთი ამ უდიდესი სიხარულის მომტანი ამბავისათვის.

ზოგჯერ ყველაზე ძნელია დავინახოთ ის, რაც ჩვენს თვალწინაა. ზუსტად ისე, როგორც პაპა ვერ ხედავდა ჭერზე ანთებულ ვარსკვლავებს, ჩვენც ასევე, ზოგჯერ ვერ ვხედავთ იმას, რაც ესოდენ თვალნათელია.

ჩვენ, რომლებმაც მოვისმინეთ ეს უდიდებულესი ამბავი ღვთის ძისა და მისი მოვლინების შესახებ, ჩვენ, რომლებმაც ავიღეთ საკუთარ თავზე მისი სახელი და შევედით მასთან აღთქმაში, რათა გვევლო მისი გზით ვით მოწაფენი მისი, ამიტომ უნდა გავხსნათ საკუთარი გული და გონება რათა სინამდველეში ვიხილოთ იგი.

ქრისტეშობის ხანა მშვენიერია ბევრი მიზეზის გამო. ეს არის ქველმოქმედების, სათნოებისა და ძმობის სიყვარულის ხანა. ეს არის ხანა, როდესაც ჩვენ კიდევ უფრო მეტად უნდა დავფიქრდეთ საკუთარ ცხოვრებასა და ლოცვა-კურთხევებზე. ეს არის პატიებისა და მიტევების დრო. ეს არის ხანა, რომლის დროსაც ვტკბებით მუსიკითა და სინათლით, წვეულებებითა და საჩუქრებით. მაგრამ ამ ხანის ბრწყინვალებამ არ უნდა დაგვაბრმავოს და არ უნდა შეგვიშალოს ხელი იმაში, რომ ვიხილოთ თვით მშვიდობის თავადი, მთელი მისი სიდიადით.

მოდით ყველამ გადავაქციოთ ამ წლის შობა სიხარულისა და ზეიმის ხანად, როდესაც ჩვენ ვაღიარებთ იმ საოცრებას, რომ ჩვენმა ყოვლისშემძლე ღმერთმა გამოაგზავნა თავისი მხოლოდშობილი ძე, იესო ქრისტე, სამყაროს გამოსასყიდად.

იდეები ამ მოწოდების სასწავლებლად

1. „მოსწავლეთა ამ გაკვეთილის თემაზე ყურადღების გამახვილებისათვის და ინტერესის აღძვრისათვის, შეგიძლიათ გამოიყენოთ ყურადღების აღმძვრელი ღონისძიებები. . . . მოსწავლეების გაკვეთილის ძირითადი იდეის განმტკიცებისა და მისდამი ყურადღების შესანარჩუნებლად სურათების გამოყენება ფრიად დაფასებული ხერხია (*Teaching, No Greater Call* [1999],160, 176). როდესაც ამ გზავნილის გაზიარებას იწყებთ, გაიხსენეთ ყურადღების აღმძვრელი ღონისძიება, ვთქვათ ისეთი, როგორიცაა სურათის ჩვენება ან წმინდა წერილიდან რომელიმე ნაწყვეტის გაზიარება და მიმართვა ოჯახს დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა კავშირი აქვს ყოველივე ამას მოწოდებასთან.

2. „თქვენს ერთ-ერთ ყველაზე უმნიშვნელოვანეს მიზანს უნდა წარმოადგენდეს, მცდელობა დაეხმაროთ სხვებს, გამოიყენონ სახარების პრინციპები ყოველდღიურ სიტუაციებში. . . . დაეხმარეთ მოსწავლეებს ჩაწვდნენ იმას, თუ რა ლოცვა-კურთხევებს ღებულობენ ისინი, როდესაც სახარების პრინციპებით ცხოვრობენ" (*Teaching, No Greater Call,* 159). ამ მოწოდების გაზიარების შემდეგ იფიქრეთ იმაზე, რომ მოიწვიოთ ოჯახის წევრები, რათა გაგიზიარონ საკუთარი გამოცდილება შობის ხანის შესახებ, როდესაც ისინი მთელი ყურადღებით ფიქრობდნენ მაცხოვარზე.

ახალგაზრდები

მისიონერთა შობა

ლორან ქუქის მიერ

როდესაც მე სრული დატვირთვის მისიონერად ვმსახურობდი, მე და ჩემი ძმადნაფიცი ვეწვიეთ ახლად მონათლულის ოჯახს. ეს ჩემი მეორე შობა იყო მისიაზე. დიდებული საშობაო სადილის შემდეგ ჩვენ გავუზიარეთ მათ საშობაო გზავნილი.

ჩვენ ვთხოვეთ ოჯახს დაეხატათ ის, რაც ახსენებდათ მათ წელიწადის ამ ხანას, მაგალითად: ვარსკვლავები, საჩუქრები, იესო ქრისტეს შობის ამსახველი ნაკეთობანი, სურათები და ნაძვის ხე. შემდეგ, ჩვენ წავიკითხეთ ნაწყვეტები წმინდა წერილებიდან, მათ შორის 2 ნეფი 19:6: „რადგან ვაჟი შეგვეძინა ჩვენ, ძე მოგვეცა; და იქნება მთავრობა მის მხრებზე; და უწოდებენ მას სახელად: საკვირველს, მრჩეველს, ძლიერ ღმერთს, საუკუნო მამას, მთავრს მშვიდობისა." ჩვენ ვიმღერეთ „Once in Royal David's City" (*Hymns,* 205), ვნახეთ ფილმი ქრისტეს შობაზე და გავუზიარეთ ერთმანეთს ჩვენი დამოწმებები იესო ქრისტეს მიმართ.

ეს იყო მეტად უჩვეულო, ჩვენი ოჯახებიდან შორს,უბრალო გარემოში გატარებული შობა, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვეულებრივი საშობაო ზეიმიც შორს იყო ჩვენგან, მაგრამ ჩვენ გავიზიარეთ დამოწმებები ქრისტეს მიმართ და მე, უფრო ღრმად, ვიდრე ოდესმე განმიცდია, ვიგრძენი სიყვარული და მადლიერება იმის გამო, რომ იგი გაჩნდა. მე გავაცნობიერე, რომ ეს იყო ჩემი ბოლო მისიონერული შობა მამაზეციერის მიმართ მსახურების დროს, მაგრამ მე მივხვდი, რომ მისი სული დამიმოწმებდა მისი ძის შესახებ ნებისმიერ ადგილას, სადაც კი არ უნდა ვყოფილიყავი.

ბავშვები

მაცხოვრის ძიება

პრეზიდენტმა უხთდორფმა ბრძანა, რომ შობის დროს ჩვენ უნდა ვეძებოთ ის, რაც მოგვაგონებს

მაცხოვრის ცხოვრებას. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი წმინდა წერილების მინიშნებები, რათა შეისწავლოთ მისი ცხოვრების ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოვლენები.

მათე 2:1–2

ლუკა 2:52

მათე 15:32–38

ლუკა 8:49–55

ლუკა 23:33–34, 44–46

იოანე 20:11–20

© 2010 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია.
დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/09. თარმანი დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი *First Presidency Message, December 2010.* Georgian. 09372 131

CHARITY NEVER FAILETH 1842

რწმენა • ოჯახი • მოწყალება

ჩვენი პასუხისმგებლობა სატაძრო და საოჯახო ისტორიის სამუშაოში

შეისწავლეთ ეს მასალა და საჭიროებისამებრ განიხილეთ ის დებთან, ვისაც სტუმრობთ. დაუსვით შეკითხვები, რათა შესძლოთ თქვენი დების განმტკიცება და ასევე იმისათვის, რომ მოწყალების საზოგადოება გახდეს თქვენი ცხოვრების აქტიური ნაწილი.

საუკუნეების განმავლობაში ადამიანები მიდიოდნენ ამ ქვეყნიდან სახარების ცოდნის გარეშე. ზოგიერთი მათგანი თქვენი ახლო თუ შორი ნათესავები არიან. ისინი გელოდებიან თქვენ საჭირო ძიების ჩასატარებლად, რათა ოჯახები შეიკრან და ჩატარდეს მათთვის საჭირო გადარჩენის წეს-ჩვეულებები.

მთელს მსოფლიოში ტაძრების უმეტესი ნაწილი საკმაოდ დატვირთული როდია. უფალი შეგვპირდა, რომ თქვენი გულები მიუბრუნდება მამებს, ისე რომ დედამიწა აღარ იქნება მთლიანად აკლებული (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 2:2–3).

ასე, რომ არის პირადი ლოცვა-კურთხევები, რომლებსაც თქვენ ღებულობთ შედეგად იმისა, რომ მონაწილეობთ სატაძრო და საოჯახო ისტორიის სამუშაოში. ერთ-ერთი ლოცვა-კურთხევათაგანია ის სიხარული, რომელსაც თქვენ განიჭებთ აზრი იმის შესახებ, რომ თქვენ თქვენს წინაპრებს ემსახურებით. მეორეა ის, რომ თქვენ ხდებით სატაძრო რეკომენდაციის ღირსნი, რაც დასტურია იმისა, რომ თქვენ უფლის წინაშე ხართ ამის ღირსი. მათ კი, ვისაც დღეს ჯერ არა აქვს ასეთი უპირატესობა, უნდა ითანამშრომლონ ეპისკოპოსთან ან მრევლის პრეზიდენტთან, რათა რაც შეიძლება სწრაფად გახდნენ რეკომენდაციის ღირსნი. გთხოვთ, არ დარჩეთ ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოთხოვნის გარეშე. მე ვამოწმებ, რომ გამოსყიდვა რეალურია და რომ ცოდვების მიტევება შესაძლებელია სათანადო მონანიების პირობით.

როდესაც ჩვენ ვმონაწილეობთ სატაძრო და საოჯახო ისტორიულ სამუშაოში, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სულიწმინდა ჩვენთან არის, რათა გვანუგეშოს ყოველი განსაცდელისას და მიგვიძღვოდეს წინ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღების დროს. სატაძრო და საოჯახო ისტორიის სამუშაო არის, ჩვენს მიერ ჩვენი წინაპრებისადმი მოწყალებისა ან მსახურების ნაწილი.

ჯული ბ. ბექი, მოწყალების საზოგადოების გენერალური პრეზიდენტი.

წმინდა წერილებიდან

მალაქია 4:5–6; 1 კორინთელთა 15:29; 1 პეტრე 3:18–19; მოძღვრება და აღთქმები 110:13–16; 128:24

ჩვენი ისტორიიდან

წინასწარმეტყველმა იოსებ სმითმა ბრძანა: „ამ ქვეყნად ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც ღმერთმა დაგვაკისრა, არის ის, რომ ჩვენ მუდმივად ვიყოთ დაკავებულნი ჩვენი გარდაცვლილი წინაპრების ძიებით” (*History of the Church,* 6:313). დასაწყისშივე მოწყალების საზოგადოების დები მხარს უჭერდნენ ამ დიდებულ სამუშაოს. 1842წ., ნავუში, სარა მ. კიმბალის სურვილმა დახმარებოდა მუშებს ტაძრის აშენებაში, წააქეზა მისი სულიერი დები საკუთარი თავის ორგანიზებაზე, რათა მათ უფრო ეფექტურად შეეძლოთ მსახურება. როდესაც მათ დაიწყეს შეხვედრები, წინასწარმეტყველმა მღვდლობის მაგალითად, დაარსა პირველი მოწყალების საზოგადოება. იმ დროიდან მოწყალების საზოგადოების დები ეხმარებოდნენ ნავუს ტაძრის მშენებლობაში.

„1855წ. რვა წლის შემდეგ იმისა, რაც წმინდანები პირველად ჩამოვიდნენ იუტაში, ჩამოყალიბდა ტაძრის მოსილების სახლი. ელაიზა რ. სნოუ, რომელიც გახლდათ მოწყალების საზოგადოების პირველთაგანი წევრი და ის,

რომელმაც შეინახა ორგანიზაციის ყველა ჩანაწერი, 1866 წ. წინასწარმეტყველმა ბრიგამ იანგმა მოუწოდა მას მოწყალების საზოგადოების გენერალურ პრეზიდენტად. იგი და მისი სხვა სულიერი დები, ერთგულად მსახურობდნენ ტაძრის მოსილების სახლში. შემდეგ, როდესაც სეინტ ჯორჯისა და მანტის ტაძრები აშენდა, ეს სულიერი დები მოგზაურობდნენ ამ ტაძრებში, რათა შეძლებოდათ აღესრულებინათ სამუშაო გარდაცვლილებისათვის."[1]

შენიშვნა

1. მერი ელენ სმუტი, „Family History: A Work of Love," *Ensign,* მარტი 1999, გვ.15.

რა შემიძლია გავაკეთო?

1. როგორ შემიძლია დავეხმარო ჩემს დებს, წინაპრებზე ინფორმაციის მოძიების საქმესა და მათთვის შესასრულებელ წეს-ჩვეულებებში? გაითვალისწინეთ ყოველი თქვენი სულიერი დის მდგომარეობა, რათა უპასუხოთ მათ საჭიროებებს. იფიქრეთ იმაზე, რომ საოჯახო ისტორიის სამუშაოს ხშირად შეუძლია განამტკიცოს ახლადმოქცეულები, დაბრუნებულნი ან ნაკლებად აქტიური წევრები.

2. როდის დამამშვიდა განცდების დროს სატაძრო და საოჯახო ისტორიის სამუშაომ ან როდის იყო იგი ჩემი მეგზური მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღებისას?

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: www.reliefsociety.lds.org.

© 2010 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი *Visiting Teaching Message, December 2010.* Georgian. 09372 131